FS 5548
1

899.96ფ.1-32
5548
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ქუთაისის განყოფ. გამოცემა №4

ეკატერინე გაბაშვილისა.

მაგდანას „ლურჯა“

ქუთ. წ.-კ. საზ. ბიბლიოთ. სამკითხველო

F 675/3

საყმაწვილო მოთხრობა.

ქუთაისი.
სტამბა იოსებ მ. ხელაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

I

მაგდანა ჯერ ძლიერ ყმაწვილი დედაკაცი იყო, როდესაც ქმარი მოუკვდა და ოთხი უსუსური ბავში ხელზე ულუკმა-პუროთ დარჩა. ერთადერთი ძროხა, რომელიც ამის ბაღნებს ზაფხულობით ლუკმას უსოვლებდა, ქმრის დამარხვას მოუნდა—და სხვა სანუგეშებელი ქვეყანაზე აღარაფერი გადარჩა. რა ექნა უბედურ ქვრივს? რით გამოეკვება თავისი ობლები? სოფელი მწირი, სადაც მაგდანა ცხოვრობდა, იმისთანა უნაყოფო, უწყალოთ მოტიტვლებულ მინდორზე მდებარეობს, რომ იმის მცხოვრებნი დიდის ვაივაგლახით შოულობენ დღიურ ლუკმას. და, აბა, ამგვარი მეზობლები რა ხელს გაუწვდენდენ წვრილ-შვილს, უვაჟკაცოთ დარჩენილ ოჯახს!

ამ უბედურსა და ბუნების მხრით განწირულ სოფელს მხოლოდ ერთი ბედნიერება სჭირდა: ქალაქზე საკმაოთ ახლო იყო და იქ მცხოვრები გლეხები ამ ქალაქში შოულობდენ სამუშაოს, ბაზარს გასასაღებლათ, თუ რამ ნაწარმოები გააჩნდათ გასასაღებელი. მაგდანასაც ამ სიახლოვემ უჩვენა გზა—და ხელი მიჰყო იმისთანა საქმეს, რომელიც ძლიერ მძიმე და თითქმს აუტანელი იყო მისთვის. მაგრამ რას გააწყობდა, როდესაც ოთხი ბავშის ტირილი: - „დედა, პური, დედა, პურიო!„ —დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდა და მშობელს გულს უფათრავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდანა სულ ერთი კვირის დაქვრივებული არ იყო, როდესაც მძიმე შავებში გახვეული, მაწვნის ქილებით ცალ მხარეზე და კარგა მოდიდო რძის კოკით მეორე ხელში, ქალაქისაკენ გაემგზავრა.

რძეს **მ**აგდანა თავისი მეზობლებისაგან ყიდულობდა, საღამოობით მაწვნათ აყენებდა და მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილაზე გაუთენებლივ გაუდგებოდა ხოლმე ქალაქის გზასა. **ი**ქ, „იარმუკის“ თავში, ტროტუარზე დაჯდებოდა, მოიხსნიდა თავის მძიმე ტვირთს, ჩამოამწკრივებდა სუფთად დახეხილ მაწვნის ქილებს, რძის ლიტრებს—და თავჩაღუნული მუშტარს ელოდა.

პირველში საშინლათ იტანჯებოდა საცოდავი ქვრივი, რომ ასე აშკარათ, გაშლილ მოედანზედ იჯდა ახალი მგლოვიარე, შავებით მოსილი, და გამვლელ-გამომვლელს საყიდლათ იწვევდა. **მ**აგრამ შემდეგ შეეჩვია, მყიდველებს ღიჭინიც კი დაუწყო, მეტადრე მაშინ, როდესაც მის გვერდით სხვა ბევრი ქვრივ-ოხერიც გამოიჭიმა მაწვნის ქილებით, რძის ლიტრებით და მის ვაჭრობას შეეცილენ.

მაგდანა იმდენს შოულობდა ამ ვაჭრობით, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო და ცარიელი ლუკმა მაინც მიეწვდინა თავისი ობლებისათვის.

თუმცა სოფელი **მ**წირი ქალაქიდან სულ ხუთ-ექვს ვერსზე იყო მოშორებული, მაგრამ ამ მცირე მანძილის გავლაც დღეში ორჯერ, მძიმე ბარგით ზურგზე, ისე სწყვეტდა საბრალო დედაკაცს, რომ ბევრჯერ შინ დაბრუნებული **მ**აგდანა ორისამი საათით უღონოთ ეგდო დერეფანში—და თავს დასჩხაოდენ მისი პატარები. **მ**უდმივმა მძიმე ტვირთის ზიდვამ მარჯვენა მხარე ჯერ დაუიარავა და შემდეგ ისე დაუკოჟიჟდა, რომ ყოველ ბარგის აკიდებაზე **მ**აგდანა სიმწარით ცრემლებსა ყრიდა და უღონოთ წაიჩოქებდა ხოლმე, მაგრამ შემდეგ წამს პირჯვარს გადიწერდა და თავის გზას გაუდგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის დაბრუნებამდი ოჯახს მაგდანას უფროსი გოგო, თორმეტი წლის სოფო, პატრონობდა და ჩინებულათაც პატრონობდა. სანამ პატარა და-ძმას ეძინა, დარბაზს დაგვიდა, კოკებს დილის წყლით აავსებდა, წიწილ-კრუხს საზრდოს მისცემდა და, როცა პატარები გაიღვიძებდენ, ხელ-პირს დაბანდა, სახვალიო საჭირო რძის ჭურჭელს დახეხდა, პატარა ბავშს ხელში დაიჭერდა და ბანზე გავიდოდა; იქ მზის გულზე ჩუმათ ჩხირკედელაობდა დედის დაბრუნებამდი. ძალაქიდან მომავალი გზა ამათი სოფლის წინ კარგა მანძილზედ იყო გაშლილი და შემდეგ დაღმართში იკარგებოდა; დაინახავდა პატარა სოფო დედას აღმართზე ამოსულს თუ არა, თავის პატარა დას ძირს დასვამდა, სირბილით მიეგებებოდა დედას, ცარიელ ქილებს, ნაყიდ ხორაგს ჩამოართმევდა და მშობელს ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა ტვირთსა.

მაგდანას აუტანელი გაუხდა ჯაფა ზაფხულში. მკათათვის მზის მწვავი სხივები ულმობელათ სწვავდა საცოდავს თავ-პირს, ცეცხლს უკიდებდა მუდამ ფეხშიშვლობით დაფათრულ ფეხებს და ერთი-ორათ უგძელებდა მანძილს; მაგდანა წამდაუწუმ ისვენებდა გზაზე, ბევრჯერ დაღალულ-დაქანცულს კიდეც მიეძინებოდა ჩრდილში და საღამომდი ძლივს მიაწევდა ხოლმე თავის სოფელს. რძის ყიდვა, ადუღება, მაწვნების შეყენება უგვიანდებოდა და ერთ-პირ დაძინებასაც ვერ მოასწრებდა, რომ მამლები იყივლებდენ—და ხელახლა გზას უნდა გადგომოდა. ამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო ყოველდღე ქალაქში სიარული შეუძლებელი შეიქნა და ობლების საზრდომაც იკლო; სოფო და დედა ნახევარჯერ მშიერები იყვენ და თავის წილ ლუკმას პატარებს უზოგავდენ.

II

მარიამობის-თვეში, ერთ საშინელ ცხელ დღეს, მაგდანა ჯანმიხდილი, საშინელი ქშენით და ოფლში გაწუწული ავიდა იმ აღმართზე, საიდანაც სწორი გზა იწყებოდა სოფლამდი, და ძალიან გაუკვირდა, რომ სოფო ჩვეულებრივ არ მოეგება, და შიშით გული გადმოუქანდა.—ვაიმე, შვილებო!—ბულში ხელი ჩაიკრა და თითქმის სირბილით მიიჭრა შინ. იმისი შვილები და სოფლის გოგო-ბიჭები დერეფანში დიდის ღრიანცელით თავს რაღასაც დასტრიალებდენ; მაგდანამ მისწი-მოსწია ბავშების გროვასდა გაოცებული შედგა: მიწაზე დაცემული სახედარი იწვა, კისერი საცოდავათ გადაეგდო და მძიმეთ ქშინავდა. მაგდანას სახეზე ღიმილმა გადაკრა და ბავშები მირეკ-მორეკა. შემდეგ დიდის გულისხმიერობით გაუშინჯა სახედარს წელი, ფეხები და, რა დარწმუნდა, რომ სახედარს მოტეხილი არა აქვსრაო, უფრო ტკბილათ გაიღიმა.

— დედა, იცი, მიხას ეს ვირი გზის ნაპირას ენახა, დამიძახა და რის ვაივაგლახით მოვაგდეთ შინამდინა. ის იყო უნდა დამება და ბალახზე წავსულიყავ, რომ საცოდავი დატორტმანდა და ძირს დაეცა. მე ყვირილს მოვყევი, გოგო-ბიჭები შემოცვინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ, და აი—ზედ დატანებაზედ შენც მოხვედი.

— **ოჰ**, შვილო, თუ სახედარი გამობრუნდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. **ა**ბა, წადი ჩქარა ბატონიანთ სათივეში, ღობის გვერდებში მიგლიჯ-მოგლიჯე მწვანე, სულ ნორჩი ბალახი—და საჩქაროთ მოირბინე.

მაგდანას სულ დაავიწყდა, რომ დაღალულ-დაწყვეტილი იყო, და საჩქაროთ სახედრის მოვლას შეუდგა. **ბ**აათფო წყალი, გადაგლეჯილი და დაიარავებული ზურგი მობანა, ნავთში გავლებული ჩვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი დააფარა, შეკრული კრიჭა გაუხსნა და ცივი წყალი ჩაასხა; შემდეგ მარილმოყრილი ლუკმა ჩაუდვა — და გადასავსავებული პირუტყვი მოაბრუნა. ამასობაში სოფოც მოვიდა, მწვანე ბალახით დატვირთული, და ვირს ბალახი ალერსით წინ დაუყარა.

III

ორ კვირას შემდეგ, როდესაც სახედარმა იმ-



დენათ მოიხედა, რომ ტვირთის აკიდება შეეძლო, მაგდანამ ერთი-ორათ მეტი რძე იყიდა, ერთი-ორათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეტებული მაწონი შეაყენა, მეზობლებისაგან ორი დიდი გოდორი ითხოვა, გადაკიდა ოავის ბედაურს, შიგ მჭიდროთ ჩააწყო თავისი ქილები და ქალაქის გზას გაუდგა. **დ**ღეს ვერავინ იცნობდა **მ**აგდანას, ისე გაღიმებული, ბედნიერებით სავსე იყო იმისი შეხედულობა. **ჩ**ვეულებრივ ტვირთ-ქვეშ მოხრილი კი აღარ მიღოღავდა,—არა, ამაყათ აბიჯებდა და მხიარულათ შესცქეროდა თავის თანაშემწე „**ლ**ურჯა“ სახედარს და მის გარეშემო სიხარულით მხტუნავ თავის ბავშებს.

— **დ**ედა, დღეს ხომ უფრო ადრე ჩახვალ?— ღიმილით ეკითხებოდა **მ**აგდანას მისი პატარა **მ**იხა.

— **რ**ასაკვირველია, შვილო! ადრე კი არა, ერთი-ორათ ადრე ჩავალ და შუადღემდი იქნება კიდეც მოვბრუნდე.

— **რ**ას ამბობ, დედა, შუადღემდი! იქნება საღამომდინაც ვერ მორჩე მაგდენი მაწვნის გაყიდვას; მთელი სოფლის ქოთნები მათხოვიე წუხელის,— უთხრა **ს**ოფომ დედას.

— **ბ**აყიდვისა კი არ მეშინია,—ამ ოთ-ხუთ დღეში, შვილო, იმდენი ხალხი გავიცანი, იმდენი მუშტარი ვიშოვე, რომ ფიქრი არ არის, მალე დავაცარიელებ მაგ დიდ გოდრებს; მერე ვერა ხედავ, რა ცხელ დღეს იჭერს? მაწვნის მეტს რას შესჭამს ამ პაპანაქებაში ვაჭარი კაცი! **ა**ხლა კი დაბრუნდით, შვილო, დაიღლებით!

— **ა**რა, დედი, არა, დაღმართამდი მიგაცილებთ და იქიდან გიყურებთ, როგორის გოგმანით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავა ჩვენი ლამაზი „ლურჯა“. რა ლამაზი თვალები აქვს, დედა, შავი, ჭკვიანი! მაგრამ ისევ ისე დაღონებული კი გამოიცქირება, როგორც მაშინ, დავარდნილი რომ ვიპოვეთ! ახლა ხომ აღარ შია,— დაღონებული რაღათ არის?

— რა ვიცი, შვილო, ვირის ჯიში აგრეა, სულ დაღონებული არიან ვირები, თავს მაღლა თავის დღეში არ აიღებენ. მაძღრობა ვირს მარტო კუნტრუშზე შეეტყობა, და განა არ ნახე, გუშინ ჩვენი „ლურჯა“ მინდორზე როგორ კუნტრუშობდა?!

— ხა, ხა, ხა, როგორ დაკუნტრუშობდა ბოგიაანთ ვირებთან!—გადიხარხარეს პატარებმა. სანამ მოხვალ, დედი, იმდენ ბალახს მოვუტანთ, იმდენს, რომ შიგ ჩაიფლას ჩვენი „ლურჯა“,—ხტუნვითა და აღტაცებით შესჭიკჭიკებდენ შვილები მაგდანას.

IV

მართლაც, მაგდანას ღმერთმა მოხედა და სახედრის წყალობით იმისი საქმე კარგათ წავიდა; რძესა და მაწონს გარდა მაგდანამ ხანდახან კვერცხსა და ქათამსაც დაუწყო ყიდვა. მაგდანა ყოველთვის პატიოსნათ ვაჭრობდა, რძესა და მაწონს წყალს არ ურევდა, ჭურჭელი სოფოს წყალობით ყოველთვის მშვენიერათ დახეხილი ქონდა—და ამის გამო მუდმივი მუშტარი ბევრი აიჩინა ქალაქში. გარდა იმისა, რომ მაგდანასაგან ვაჭრობდენ, იბრალებდენ კიდეც იმის ობლებს და აძლევდენ იმათთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახმარ ტანისამოსს, ფეხსაცმელს...

შემოდგომამდი მაგდანამ დღიურ ლუკმას იმდენი გადაარჩინა, რომ შეიძლო ცოტაოდენი საწვრიმალო ეყიდა—და, როდესაც სოფლის საქონელი გაშრა და რძე აღარ იშოებოდა, საწვრიმალოს ყიდვა დაიწყო; მიეკედლა ერთს მეწვრიმალე ხნიერ დედაკაცს, იმასთან სანახევროთ სავაჭრო იყიდა, წამოკიდა თავის სახედარს და წავიდენ მთიულებში სავაჭროთ. ამ ვაჭრობით ორი-სამი ტომარა ფქვილი მოუმზადა საზამთროთ შვილებს, სახედარს—ბზე და ცოტაოდენი ქერი, და ახლა კი დაისვენა, დაუბრუნდა თავის შვილებს, ცეცხლი ააბოლა თავის კერაზე. ზამთრის დიდ ღამეებში მაგდანა ცეცხლიპირას იჯდა, განუშორებელი მატყლის წინდით ხელში, და თან თავის შვილებს მოუთხრობდა ქალაქის ამბებს, თავის თავგადასავალს, თავისი ვაჭრობის უცოდინრობას პირველათ.

— ზამოცთილება კარგი ყოფილა, შვილო,— დარბაისლურათ მიუბრუნდებოდა ხოლმე მაგდანა თავის ჭკვიან გოგონა სოფოს:—პირველათ რომ მაწვნის ვაჭრობა დავიწყე, ყველა მასხრათ მიგდებდა, ყველა ცთილობდა ჩემზე წინ წამდგარიყო, რომ უფრო მალე გაესაღებია თავისი სავაჭრო, და მე კი, ბეჩავი, ჩუმათ აბუზული, უკან ვრჩებოდი. ბევრჯერ მტრობით ავმა სულებმა მიწა გადამიყარეს მაწვნებზე, ბევრჯერ განგებ დამეჯახენ და დამაქცევინეს, მაგრამ მეც თვალი გავახილე, მეც მივხვდი, რომ ყველაფერში გამარჯვება სიმარდესა და სიმხნევეზეა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხმა ამოვიღე, მივიძარ-მოვიძარ. მეტადრე, როცა მომაგონდებოდა, რომ თქვენ აქ უპატრონოთ, მშიერები, ტიტვლები ეყარეთ, ცეცხლი მომედებოდა ხოლმე გულზე—და მაშინ ვინ იყო ჩემი წინ წამოდგომი! მე ყველაზე წინ გავრბოდი, მე ყველას უფრო მომეტებულათ შევღიჭინებდი, რომ ჩემი რძემაწონი ეყიდათ,—და ლუკმა ამით ვიშოვე.

V

ნააღდგომევს, როდესაც სოფლებში წველა ისევ გახშირდა, მაგდანამ გაამზადა თავისი ბედაური, თავისი მაწვნის ქოთნები—და გაუდგა ქალაქის გზას. მხიარულათ მიერეკებოდა თავის „ლურჯას“ და თანაც ღიღინობდა; მაგდანას გული იმედებით იყო სავსე. სააღდგომოთ შვილები ვერაფრით გავახარე, თითო ჩითის პერანგიც ვერ ჩავაცვი—და ახლა მაინც ვუყიდი რასმე; სოფოს, ჩემს იმედს, ჩემს ჭკვიან გოგონას წითელ ფოსტლებს ამოვუტან,—ენაცვალოს დედა! მე შენ გითხრა, ჩემს პატარებს უჩემობას შეამჩნევინებს: ისე დაგურგურებს, როგორც კარგი დამზნილი დედაკაცი!.. ჩემს ვაჭრობას უფრო მოვუმატებ. იქნება ორიოდ გროში მივაგდო სოფოს სამზითვოთ... ლერეფნის შუა ბოძი ძლივს იმაგრებს გასაყარ ხესა, იმასაც გამოცვლა უნდა...

ამ ფიქრებში გართული მაგდანა მიუახლოვდა ქალაქს. ის-ის იყო მზემ თავი ამოყო და მშვენიერათ გააჩაღა ვერის ბაღები, პატარა სერის ხევის მომჩქეფარე წყალი და უზარმაზარ სარკესავით ალაპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპა მტკვრის მდორეთ მოძრავი ზემოთა პირი. ახლათ გამოლვიძებული ქალაქის ხმაურობა გუგუნივით მოისმოდა. შეშის ურმები, აგურის პოვოსკები, ფურგუნები ერთი ერთმანეთში ირეოდა; მებაღეები წვანილდატვირთული სახედრებით, მერძევე დედაკაცები კოკებით, კინტოები თაბხებით თავზე — მიეშურებოდენ, გარბოდენ, რომ ბაზარში არ დაგვიანებოდათ. მაგდანამაც ორიოდე სახრე გაჰკრა თავის „ლურჯას“ და ფეხი ააჩქარებია.

მაგდანა რომ ვერის აღმართს ავიდა, იმის პირდაპირ საშინელი სიჩქარით გამორბოდა მთელი ჯოგი სახედრებისა. იმათი პატრონი, მთლათ შემურული მენახშირე, მშვენიერ იორღა ჯორზედ იჯდა და, რაც ძალი და ღონე ქონდა, მიერეკებოდა. ერთმა ვირმა წამოკრა გვერდი მაგდანას მაწვნის გოდორს და მთლათ შეარყია. მაგდანა გაანჩხლდა და მენახშირეს წყევლა დაუწყო: „ქისერი მოგტყდეს, ქისერი, შე ლვთის მუხანათო! რაზედ დამღუპე და დამაქციე! დოსავით გათქვეფილი მაწონი ვიღასთან უნდა მივიტანო?

მენახშირემ მხოლოდ ახლა მოიბრუნა ქისერი ამისკენ — და უცბათ შედგა, საჩქაროთ გადმოხტა ჯორიდან და მაგდანასთან მიიჭრა: — დედობილო, ნუ კი იწყევლები ემანდა — და, აბა, მიბძანე, ეგ სახედარი შენ ვინ მოგცა?

მაგდანას მუხლები მოეკვეთა, პირზე მკვდრის ფერი გადაედვა და ხმის კანკალით ძლივს წაილულლუღა: — მინდორში დავარდნილი ვიპოვე, სული ამოსდიოდა და მოვაბრუნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „Დავარდნილი, სული ამოსდიოდა“,—გააჯავრა მენახშირემ მაგდანას: ვინ გეხვეწებოდა მოაბრუნეო? მინდორში მე იმისთვის კი არ მივანებე თავი, რომ შენ მოგეპარა! სხვა სახედრებს ჩამომრჩა, მე მეჩქარებოდა და თავი იმიტომ დავანებე; მეორე დღეს ტყიდან უნდა ჩამომევლო, წამეყვანა – და რა გაგიშვია, რას ეძებ! Თურმე რომ შენ მიგიჩქმალავს, შე არამზადავ, შენა! Ახლავე მომე, თორემ ეს არის შუაზე გაგგლიჯე! Მოხსენ ეგ შენი ქოთნები, თორემ ლუკმა-ლუკმა დაგიმტვრევ! „Სუდში“ წაგათრევ და ქურდობისთვის ციხეში დაგალპობინებ!..

Მაგდანამ დაინახა, რომ ობლების საზრდო, იმედი ხელიდან ეცლებოდა, საშინლათ გააფთრდა, გოდრებს ზედ გადაეფაფრა, წივილ-კივილს მოჰყვა და, რაც ჯანი და ღონე ჰქონდა, იგერებდა გაცოფებულ მენახშირეს.

— Ვერ წამართმევ, ვერა! Ეს ჩემი ნაპოვნია, ჩემი გამოკვებილია ზამთარში, ჩემი შვილების ნუგეში ეს არის,—ვერ წამართმევ! მომეცალე, მომეცალე, თორემ თვალებს გამოგიწიწკნი, თავს აქ მოვიკლავ, და არ დაგანებებ კი!

— Იქით, იქით! ხელი აიღე, თორემ ეს არის მოთმინება დავკარგე! Შენისთანებმა უნდა მაჯობონ, შე მასხარავ? იქით-მეთქი, გეუბნები! Ოდვაში არ ჩამაგდო, წიწილივით არ წაგახჩო! Ნაპარევი გიპოვე, შე არამზადავ, შენა, და კიდეც მიძალიანდები? რატო სირცხვილით თვალი არა გსკდება და დედამიწაზედ არ დავარდები! იქით, იქით-მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **ა**რა, არა! **ჩ**ემი ცოცხალი თავით ვერ დაგანებებ. **ჩ**ემია, ჩემი, არ მომიპარავს! განა, ურჯულო, შენ თვითონ არ იცი, რომ არ მომიპარავს?



მთელმა ქვეყანამ იცის, „ტარშინა"-მამასახლისთან გამოცხადებული მაქვს. **ღ**მერთმა აჩუქა ჩემს ობლებს—და შენ უნდა წაართვა? არა, ვერ წაართმევ, ვერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდანას თავშალი გადუვარდა, თმები ჩამოგშალა და გაეწეწა, პირზე მკვდრის ფერი დაედვა, შუბლზე ცივი ოფლი ჩამოსდიოდა, იმის მუდამ წყნარ ხმას მრისხანება მიეცა, მკლავს—საშინელი ძალა, და ყმაწვილს, ლომივით ღონიერ მენახშირეს კინალამ აჯობა.

ამასობაში პოლიციაც გაჩნდა, ჩხუბის მიზეზი გამოიკითხა—და მენახშირე ამ სიტყვებით გაისტუმრა: წართმევა არ იქნება, წადი, წადი, „სუდში“ იჩივლე, იქ გაარჩევენ საქმეს და, სახედარი ვისიც არის, იმას მისცემენო.

მაგდანამ სული მოითქვა, თავშალი მოიხვია, ტანისამოსი გაისწორა და თავჩაღუნული და შემკრთალი, რომ ამოდენა ხალხმა ამის გაანჩხლება დაინახა, იარმუკისკენ წავიდა.

VI

მშვენიერი, წყნარი, მთვარიანი ღამეა. მაგდანა თავისი ოთხი შვილიანათ ვახშამს მოჯდომია ეზოში, წინ პურჩაყრილი მაწვნით სავსე ტაფა უდგას, მაგრამ კი არავინა სჭამს. იმათ მოშორებით ბაკის ღობესთან გამობმული „ლურჯა“ კი მადიანათ ახრამუნებს მწვანე ბალახს. მაგდანა მწარეთ ჩაფიქრებული შესცქერის მთვარეს და თვალები ცრემლებით ევსება... ვინ იცის-რით გადასწყდება ხვალ ამის საქმე... წაართმევენ ცხოვრების ერთადერთ სახსარს—„ლურჯას“, თუ შეებრალებენ ამის წვრილ-შვილს

5548
1

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არ გამოსწირვენ? ოჰ, ღმერთო, სად არის შენი სამართალი! მოხედე მე საცოდავს, ჩემს საბრალო ობლებს! განა „ლურჯა“ მართლა ჩემი არ არის? განა მართლა მე არ გადავარჩინე სიკვდილს? განა მთელი რვა თვე მე და ჩემი შვილები ამის მოვლაში და საზდოს ზრუნვაში არ ვიყავით!?.. რო წაგვართვან, რაღა გვეშველება! ისევ უნდა წელში მოვიხარო და ოთხფეხ პირუტყვსავით ზურგით უნდა ვზიდო რძე და მაწონი!? ოხ, ოხ, ღმერთო, ღმერთო! შენ იყავ ჩვენი მფარველი!— და მაგდანას მწარე მდუღარება გადმოსცვივდა

— დედა, რათა სტირი?--უთხრა დედას გულამოჯდარმა სოფომ: იქნება „სუდიებმა“ ჩვენ გვარგუნონ; წინათვე გულს რათ იხეთქ?

— დედა, მოდი მე ზედ შემსვი,—ტირილითვე უთხრა მიხამ, და სანამ არ მოკლავენ, ძირს არ ჩამოვალ.

— შე საწყალო, შენა! სანამ არ მოკლავენო! შენ რა ხარ, შვილო, რომ შენი მოკვლა რა იყოს! პანტასავით იქით გადაგისვრიან და ბევრსაც გირტყმენ.

—მაშ, მოდი, დედა, მთიულებში წავიყვანოთ და იქ დავმალოთ, — იმედს არ კარგავდა პატარა მიხა.

— დედა, პური ჭამე, გეთაყვანე! ღმერთი მოწყალეა! ბუშინ ნოზაძიანთ ნინიკა ამბობდა: მთელი სოფელი უმოწმებს, რომ კვდარი მოაბრუნაო. მაგდანას დამალვით ხომ არ დაუმალავსო! საქვეყნოთ „ტარშინას“ გამოუცხადაო, რომ, თუ ზამთარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გამოვკვებავ, მერე აღარავის დავანებებო. ან ვის გაუგონია დავარდნილი სახედრის უკან დევნაო?! ეს გზა სულ მენახშირეებით არის გათელილი, მაგის მეტი რა გვინახავსო? დავარდნილი სახედარი ბევრი მოგვიბრუნებია, მაგრამ პატრონს ხმაც აღარ ამოულიაო.

— ეგ მეც ვიცი, შვილო, მაგრამ, ვინ იცის, „სუდიები“ კანცელარიაში რა ქეიფზედ იქნებიან, ვისას უფრო გაიგონებენ. მენახშირე ფულით არის გატენილი, და მე ერთი უბედური გლახა ვარ, და გლახისას ვინ რას შეიწყნარებს!..

— არა, დედილო, არა! ჩვენს „ლურჯას“ ვერავინ წაგვართმევს,—ქვითინით წამოხტა პატარა მიხა და მივარდა სახედარს: არა, „ლურჯავ“? შენ ნუ წაყვები იმ ოხერ მენახშირეს, ნუ წაყვები, შენი ჭირიმე!—და ამ სიტყვებთან ერთად ორივე ხელით შემოეხვია „ლურჯას“ კისერზე.

VII

მეორე დღეს მაგდანამ თავის „ლურჯას“ თავზე ხელი გადუსვა, ტკბილს, დაღონებულ თვალებში დიდხანს ჩააცქერდა—და თავი გაიქნია: განა ასეთი იყავ ამ რვა თვის წინათ? განა ასე გიბზინავდა აქა-იქ ამოგლეჯილი შენი ლურჯი ბალანი, ჩემო „ლურჯავ“? განა მენახშირე ისევ ისე არ გადაგაძრობს ჩემგან მოარჩენილ ბეჭებს? ნეტა ლაპარაკი მაინც იცოდე, რომ შენა გკითხონ, თუ ვის აირჩევდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონათ!... „ლურჯაც“ თითქო გრძნობდა თავის განსაცდელს—და, რაც შეეძლო, ზედ ეკვროდა თავის პატრონს.

მაგდანამ კარგათ მოუარა თავის ბედაურს, კურტანიც კი აღარ დაადგა, რომ ყველას ენახა, რა რიგათ იყო მოვლილი იმისი „ლურჯა“, კისერზე თოკი გამოაბა—და, რომ შვილების ტირილი და ვაგლახი აღარ ენახა, გაუთენებლივ გაუდგა გზას. ჯერ სოფლის „კანცელარიაში‘ ჩამიჩუმიც არ იყო, რომ მაგდანა თავისი სახედრით იქ გამოცხადდა.

სოფო, მიხა და ორი პატარა მთელ დღეს ბანზედ ისხდენ. არც ერთს მათგანს მთელი დღე ხმა არ ამოუღია, თითქმის არა უჭამია-რა—და მხოლოდ გზას გასცქეროდენ. მზემ კარგა გადაიწია, და მაგ-დანა კი არსად ჩანდა.

ბავშები სასოწარკვეთილებას მიეცენ. სოფო, რაც ძალი და ღონე შერჩა, კიდევ ნუგეშსა სცემდა პატარებს, თუმცა თვითონ მთლათ კანკალობდა მოუთმენლობით.

მზე ჩავიდა—და აგერ გზის პირათ გამოჩნდა მაგდანას შავი თავშალი. კიდევ ერთი წამი—და მაგ-დანა, წელში გაშლილი, პირმომღიმარი, თოკით ხელში, „ლურჯას“ წინ მოუძღოდა და, თავისი მოწმეებით გარშემოხვეული, სოფელს მოუახლოვდა. მაგდანას შვილები სახედრის დანახვაზე მთლათ გა-დაირიენ: სტიროდენ, იცინოდენ, ხტოდენ, გა-რბოდენ, უკან ბრუნდებოდენ და ისევ გამორბოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ოთხივე წივილ-კივილით ვირს მოეხვია, კოცნიდენ, ზედ ახტებოდენ და უალერსებდენ.

— კარგია, შვილებო, კარგი! ხომ ხედავთ, „ლურჯა“ ჩვენ გვარგუნეს! სოფო, შვილო, გაიქე სახლში, ცეცხლი გააჩინე, ამ პატიოსან მოწმეებს უნდა გავუმასპინძლდე!

მაგდანა თავის მოწმეებს გულუხვათ დაუხვდა. ლვინო და არაყი ბლომათ მიართვა, კარგი ჩასუქებული დედალიც დაუკლა — და შუაღამემდი იმის ერდოდან, წუხანდელი ტირილის მაგიერათ, ჰარიარალეს ხმა ამოდიოდა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Digitized by Google